

ლიზი სეხნიაშვილი / Lizi sekhniashvili
13წლის/13 years old
სსიპ ქ.თბილისის 143-ე საჯარო სკოლა
Tbilisi public school 143
8⁴დ/8⁴დ

წერილი ევროპელ თანატოლს - დამოუკიდებლობიდან
თავისუფლებამდე
Letter to a European Peer - From Independence to Freedom
წერილი ევროპელ თანატოლს - დამოუკიდებლობიდან
თავისუფლებამდე

ჩემო ევროპელო თანატოლო და მეგობარო,მინდა გიამბო ჩემს ქვეყანაზე,ჩემს პატარა სამოთხეზე,მინდა გიამბო თუ რა გზა გაიარა ჩემმა ქვეყანამ დამოუკიდებლობისთვისა და თავისუფლებისთვის,გიამბო ჩვენს გმირებზე და ცოტაოდენი ინფორმაცია გამცნო პატარა,მაგრამ მრავალმხრივ გამორჩეულ ქვეყანაზე. მინდა წერილი დავიწყო თემით თუ რა არის დამოუკიდებლობა ქართველებისთვის და რა გზაა დამოუკიდებლობიდან თავისუფლებამდე.

დამოუკიდებლობა ქართველისთვის არის სახელმწიფოებრობა, ქვეყნის სუვერენიტული და ეროვნული თავისუფლებაც, რომელიც ნასაზრდოებია წარსულით. ილია ჭავჭავაძე ერის სულიერი მამა “ენა მამული, სარწმუნოების” გარშემო გაერთიანებულ სულისკვეთებაში ხედავს დამოუკიდებლობას და თავისუფლებას. ლელთ დღუნია არის პერსონაჟი, უბრალო მეეტლე ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებიდან“, ნაწარმოებში: „ადრე ჩვენი თავი ჩვენათვე გვეყუდნოდაო“- (ილია) ეს იყო ქართველი კაცის გმირული სულისკვეთების მასაზრდოებელი. დამოუკიდებლობაა, როდესაც შენ გაქვს აზრის გამოთქმის უფლება; თამამად იღებ სიახლეებს და უარყოფ იმას, რაც არ გინდა. არავინ გაძალებს იმის გაკეთებას, რაც არ გსურს. ხარ ძლიერი, ხარ დამოუკიდებელი; არავისი გეშინია და ხარ ინდივიდუალური. ჩემი აზრით, ქართველებს ეს ყოველივე ოდითგანვე მოგვსდევს. დღესაც ეს ყველაფერი ჩვენშია. ჩვენ ვგრძნობთ, რა არის თავისუფლება; ვგრძნობთ და ვიცით, თუ რამდენად თავისუფლად გრძნობ თავს მაშინ, როდესაც შეგიძლია შენი აზრი შიშის გარეშე დააფიქსირო. ჩვენ ვიცით და ვგრძნობთ ამ ყველაფრის ფასს! საქართველო დამოუკიდებელია! დიახ, ეს კი ჩვენმა წინაპრებმაც კარგად იცოდნენ. გავიხსენოთ ჩვენი ისტორია, ისტორიული წყაროები, რომლის საშუალებითაც საუკუნეების წინ მიმდინარე მოვლენებზე ვიგებთ ინფორმაციას. გავიხსენოთ ჩვენი პოეტები: აკაკი წერეთელი, ილია ჭავჭავაძე, ექვთიმე თაყაიშვილი, დიმიტრი ყიფიანი... საბედნიეროდ, კიდევ მრავალი ჭირისუფალი და საქართველოს მოამაგე ჰყავს ჩვენს სამშობლოს. ოდითგანვე მოსდევს დამოუკიდებლობის ჟინი. ჩვენს წინაპრებს ხასიათში ეს ყველაფერი მკაფიოდ ჩანს. ისინი იყვნენ ადამიანები, რომლებსაც არაფრის ეშინოდათ. უფლისაგან ბოძებულ ერთ სიცოცხლესაც კი თმობდნენ, რადგან მომავალ თაობას დამოუკიდებელ საქართველოში ეცხოვრათ. ჩვენს მიწას უამრავი გმირის სისხლი უნახავს, ჩვენს ცას უამრავი შვილმკვდარი დედის განწირული კვილი გაუგონია, ჩვენს ბუნებას უამრავი ბავშვის შიშისაგან თავზარდაცემული ტირილი გაუგონია. მაგრამ რისთვის?! რისთვის, თუ არა ჩვენი მომავლისთვის! დამოუკიდებლობისთვის! დამოუკიდებლობის ჟინი ქართველებს შესისხლხორცებული გვაქვს. რა გზა გავიარეთ დამოუკიდებლობამდე? გზა საკმაოდ რთული იყო, იმდენად რთული, რომ დრომაც ვერ გააქრო ის ნაიარევი. ქართველი ხალხისთვის უპირველესი ოდითგანვე თავისუფლება იყო, მაგრამ დამოუკიდებლობიდან თავისუფლებამდე უამრავი ნაბიჯი იყო გადასადგმელი. მაგრამ ისიც ვიცით, რომ " თავისუფლება ისე არ მოდის, თავისუფლება ლომთა ხვედრია"... მიუხედავად იმისა, რომ

ქართველ ერს არ აკლდა მტერი, ჩვენი წინაპრები მაინც ამაყად, მტკიცედ და უშიშრად იდგნენ ბრძოლის წინა ხაზზე. მაინც, რა აძლიერებდათ მათ ასე?! ეს რთული კითხვაა, ბევრიც ვერ გაიგებს, მაგრამ რატომ?! იმიტომ, რომ იყო ძლიერი მაშინაც კი, როდესაც იმედს არაფერი გაძლევს. მხოლოდ ქართველს შეუძლია თვალებში უყურებდე სიკვდილს და უშიშრად უპირისპირდებოდე.... მხოლოდ ქართველს შეუძლია "ბოლო ამოქშენას" სიმღერით ხვდებოდე... ეს ჩამონათვალი ძალიან მცირეა იმისა, თუ რა შეუძლია ქართველს. ჩემი აზრით, როდესაც ქართველი გქვია, ეს უდიდესი ჯილდოა. მე ერთი რიგითი ქართველი ვარ. მე ჩემს ქვეყანას მხოლოდ თავისუფალსა და დამოუკიდებელს ვხედავ! მე ვარ ქართველი და თამამად ვამბობ, რომ ჩვენი წარსულიც, აწმყოც და მომავალიც დამოუკიდებელი და თავისუფალია! ჩვენ ოდითგანვე ვიბრძოდით დამოუკიდებლობისთვის. ტკივილი დიდია: ჩვენი ტერიტორიები ამჟამად ოკუპირებულია "ერთმორწმუნე მეზობლის" მიერ... ჩვენი აფხაზეთი, სამაჩაბლო, ახალგორი მოკვეთილი გვაქვს... ჩვენ ,არცერთი ჩვენგანი, არ ვთვლით, რომ ეს ტერიტორიები ჩვენი არ არის! ჩვენი საქართველო სულ მალე გაბრწყინდება თავისივე გამთლიანებული ტერიტორიებით, ისევ გადმოდგება "ბორბალაზედა თავისუფლების მთვარეა." იქ სადღაც, ღმერთთან, ჩვენი გმირებიც გაიხარებენ. ჩვენი ანწუხელიძე, ჩვენი ტატუნაშვილი... ისინი, ვისი გახსენებაც უცრემლოდ არ შეგვიძლია.

მჯერა, ჩვენ მიერ გაღებული მსხვერპლი უკვალოდ არ ჩაივლის, გავუყვებით ევროპულ გზას და ამაყად ვიტყვით კიდეც ერთხელ : " მე ვარ ქართველი, მაშასადამე ე ვ რ ო პ ე ლ ი მიყვარხარ,საქართველო სიყვარულით ღიზი

Letter to a European Peer - From Independence to Freedom

My European peer and friend, I want to tell you about my country — my little paradise. I want to tell you about the path my homeland has taken toward independence and freedom, about our heroes, and share a bit of information about this small but in many ways exceptional country. Let me begin this letter with the topic: What is independence for Georgians and what is the path from independence to freedom.

For a Georgian, independence means statehood — the sovereignty and national freedom that are deeply rooted in our history. Ilia Chavchavadze, the spiritual father of the Georgian nation, saw independence and freedom in the spirit united around “language, homeland, and faith.” Lelt Ghunia is a character, a simple coachman, from Ilia Chavchavadze’s “Letters of a Traveler.” In the work, Ilia writes: “Long ago, we stood on our own.” This was the spirit that nourished the heroic soul of the Georgian man. Independence is when you have the right to express your opinion, to boldly accept new ideas, and reject what you don’t agree with. No one forces you to do something you don’t want to. You are strong. You are independent. You are fearless and individual. In my view, Georgians have always embodied these qualities. Even today, they live within us. We feel what freedom is — we feel it and know how truly free one feels when you can express yourself without fear. We know and understand the price of it. Georgia is independent! Yes — and our ancestors knew this well. Let us remember our history, the historical sources that tell us about events centuries ago. Let us remember our poets: Akaki Tsereteli, Ilia Chavchavadze, Ekvtime Takaishvili, Dimitri Kipiani... Fortunately, our homeland has had many more devoted protectors and patriots. The desire for independence has always been with us. This drive was clearly present in the character of our ancestors. They were people who feared nothing. They were ready to sacrifice even their one God-given life so that future generations could live in an independent Georgia. Our land has witnessed the blood of countless heroes; our skies have heard the desperate cries of countless mourning mothers; our nature has echoed with the terrified sobs of children. But why? Why, if not for our future? For independence! The desire for independence is etched into our identity as Georgians. What path did we take to reach independence? It was a very difficult path — so difficult that even time could not erase its scars. For the Georgian people, freedom has always been paramount. But from independence to true freedom, many steps had to be taken. Still, we know that: “Freedom does not come easily — it is the destiny of lions.” Even though Georgians have always faced enemies, our ancestors stood proudly, firmly, and fearlessly on the front lines of every battle. What gave them such strength? It’s a difficult question, and not everyone will understand the answer. Why? Because being strong — even when there is no reason to hope — is something only a Georgian can do. Only a Georgian can look death in the eyes and stand against it without fear... Only a Georgian can meet their final breath with a song... And this list is just a small part of what a Georgian is capable of. In my opinion, to be called a Georgian is the greatest honor. I am just an ordinary Georgian. And I see my country only as free and

independent! I am Georgian, and I proudly say that our past, our present, and our future are free and independent. We have always fought for independence. The pain is great — our territories are currently occupied by our so-called “Orthodox neighbor”... Our Abkhazia, our Samachablo, Akhagori — they have been taken from us... None of us believe these lands are not ours! Very soon, our Georgia will shine again — whole and united. And once again, the “moon of freedom” will rise upon the wheels of destiny. Somewhere up there, with God, our heroes will rejoice — our Antsukhelidze, our Tatunashvili... Those whose memory brings tears to our eyes.

I believe that the sacrifices we’ve made will not be in vain. We will walk the European path, and proudly say once again: I am Georgian, therefore — I am European. I love you, Georgia...

With love and pride, Lizi